



პრესრელიზი, 21 ნოემბერი, 2009

შეწყდეს სააკაშვილის და მისი რეჟიმის საქართველოსათვის საზიანო მოქმედება

ბოლო დღეებში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის თომას ჰამერბერგის მისამართით კრიტიკული და შეურაცხყოფელი განცხადებები გააკეთეს. პრეზიდენტ სააკაშვილის ნების ყურმოჭრილმა აღმსრულებლებმა ცნობილი საერთაშორისო მოღვაწე ცხინვალის რეგიონში დაკავებული ქართველი მოზარდების ბედის მიმართ ტენდენციურობასა და პასიურობაში დაადანაშაულეს. საგულისხმოა, რომ ეს განცხადებები კეთდება ჰამერბერგის საქართველოში მოსალოდნელ ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე. აშკარაა, რომ სააკაშვილს სურს არა მოზარდების გათავისუფლება, არამედ არსებული ვითარების მაქსიმალურად გამოყენება საკუთარი პიარისათვის.

საფრანგეთის საელჩომ თბილისში გამოსატა თავისი იმედგაცრუება საქართველოს ხელისუფლების ამ განცხადებების გამო და სრული მხარდაჭერა აღუთქვა ჰამერბერგს მისი საქართველოში ჩამოსვლასა და მოქმედებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სააკაშვილის ბრძანებით მისი წარმომადგენლები უსამართლოდ აკრიტიკებენ და შეურაცხყოფას აყენებენ ცნობილ უცხოელ მოღვაწეებს, რაც დიდ ზიანს აყენებს საქართველოს.

მოძრაობა “სამართლიანი საქართველოსთვის” გმობს პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი მმართველი დაჯგუფების უგუნურ, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას და მოითხოვს ამგვარი მოქმედების შეწყვეტას. ტალიავინის კომისიის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა. არ უნდა დაგუშვათ, რომ სააკაშვილისა და მისი მმართველი დაჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულისა და უგუნური პოლიტიკის გამო, მთელი ერი დაისაჯოს. მადლიერები ვართ საქართველოს ყველა მეგობრისა, ვინც ყველაფრის მიუხედავად კვლავაც დახმარებას უწევს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.



პრესრელიზი, 21 ნოემბერი, 2009

Stop Saakashvili and his Regimes Harmful Actions in Georgia

During last days representatives of Government made critical and abusive statements addressed to Council of Europe Commissioner for human rights Mr. Thomas Hammerberg. President Saakashvilis obidient excutives accused well-known internationally honored person in being tendentious and passive on detention of Georgian teenagers in Tskinali region. It is significant that these statements are made before Mr. Hammerbergs possible visit to Georgia. It is obvious that Saakasvili does not desire releasing of teenagers, but uses this situation for own PR.

Embassy of France in Tbilisi expressed disappointment for statements made by Georgian government officials and fully supported Mr. Hammerbargs visit and actions.

This is not the first occasion, by Saakasvilis order the representatives criticize and insult the honored foreign persons, this kind of actions harm Georgia.

Justice for Georgia condemns President Saakashvili and ruling group, for anti-state actions and demands ceasing. Finally after Tagliavini Commission Report on War in Georgia it is obvious, that in august 2008 Saakashvili committed a crime. Georgia must not be punished for Saakashvilis and ruling groups imprudent politics. We are grateful to all of Georgia's friends, whom are still helping Georgian population and each citizen despite all actions made.